სადიპლომო ნაშრომი

სამეგრელო-გურიის შავიზღვისპირა ლანდშაფტების ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოყენება და გარემოს მდგრადი განვითარება

იზა ჟღენტი

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახისვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის გამზ. 3, თბილისი, 0179 საქართველო

სამაგისტრო პროგრამა - „ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება“

ელ-ფოსტა: iza.zhgenti@ens.tsu.edu.ge

ანოტაცია

ამა თუ იმ რეგიონის ბუნებრივ-სარესურსო პოტენციალის შეფასება, განსაკუთრებით ისეთი გეოპოლიტიკური მდებარეობის მქონე ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, საზოგადოების სულიერი და მატერიალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია, ამიტომაც მათი გამოვლენის, რაციონალური გამოყენებისა და დაცვა-აღდგენის საკითხების სწორ, მეცნიერულ გადაწყვეტას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. სადიპლომო ნაშრომში, ავტორის მიერ საველე-საექსპედიციო სამუშოების შედეგად მოპოვებული მასალებისა და ლიტერატურული წყაროების დამუშავებით, მოცემულია ბუნებრივ-სარესურსო პოტენციალის მრავალფეროვნებით გამოჩეული - საქართველოს შავი ზღვისპირეთის (გურია-სამეგრელოს) რეგიონის ლანდშაფტების მრავალმხრივი გამოყენებისა და მისი მდგრადი განვითარების საკითხების საკმაოდ დეტალური ანალიზი, კერძოდ: პალეოლანდშაფტებისა და თანამედროვე გეოკომპლექსების დინამიკის შედარებითი დახასიათება, შავიზღვისპირა ლანდშაფტების ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი და მისი განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორების კორელაციური ანალიზი და სინთეზი, სანაპირო ზოლის ტურისტულ-რეკრეაციული ტევადობისა და ეკოლოგიური პრობლემების საკითხი და სხვ.